



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

2011 წელი 22 მარტი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №36**

**ხვიჩა კილაძის, თემური მოქიას,  
კობა ხაბაღაშვილის და პაატა ბურჭულაძის პრემირების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს: ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარეს – ხვიჩა კილაძეს; „უმრავლესობა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარეს – თემური მოქიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – კობა ხაბაღაშვილს და საკრებულოს აპარატის უფროსს – პაატა ბურჭულაძეს საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით მიეცეთ პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი